

განმარტებითი ბარათი

„მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშებისა და გატარებაში მონაწილე გამანაწილებელი ქსელისა და წყალმომარაგების სისტემის მოწყობილობის მოვლა-პატრონობის წესში“ ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტზე

პრაქტიკამ აჩვენა, რომ „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშებისა და გატარებაში მონაწილე გამანაწილებელი ქსელისა და წყალმომარაგების სისტემის მოწყობილობის მოვლა-პატრონობის წესის“ (შემდგომში - წესები) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტში დღეს არსებული დათქმა, რომელიც განსაზღვრავს, რომ აქტივების ნარჩენი აღდგენითი ღირებულებით შეფასების აუდიტორული ანგარიში, აქტივების ინვენტარიზაციის აქტი და აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულების დამადასტურებელი აუდიტორული ანგარიში შედგენილი უნდა იქნეს მხოლოდ იმ აუდიტორული ფირმის მიერ, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) აუდიტის უფლებამოსილება, მეტად მკაცრია და დაინტერესებულ პირებს სირთულეები ექმნებათ აღნიშნული დოკუმენტების მოპოვების პროცესში.

დადგენილების პროექტი მიზნად ისახავს ამ სირთულეების გამარტივებას და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ პირველი, მეორე ან მესამე კატეგორია მინიჭებული აუდიტორული ფირმების, ასევე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შედგენის შესაძლებლობას.